ლილიანა გოგიჩაიშვილი

აბსურდი და ეგზისტენციალიზმი კაზუო იშიგუროს რომანში „არასოდეს გამიშვა“

„ო, სულო ჩემო, ნუ ისწრაფვი მარადიული სიცოცხლისკენ, არამედ შეეცადე, ამოწურო შესაძლებელი.“[1] ალბერ კამიუს „სიზიფეს მითის“ მოცემული ეპიგრაფი თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ კაზუო იშიგუროს 2005 წელს გამოქვეყნებული რომანის „არასოდეს გამიშვა“ იდეოლოგიის ყველაზე ლაკონურ და გონებამახვილურ წანამძღვრად. ლიტერატურის კრიტიკოსები რომანს სხვადასხვა ჟანრობრივი, სტილისტური თუ თეორიული პერსპექტივიდან განიხილავენ და ცდილობენ გაარკვიონ, თუ რა ჩანაფიქრი ჰქონდა ავტორს, რომელმაც სამი მახეში გაბმული ადამიანის ყოფა ანტიუტოპიურ საბურველში მოაქცია. ამ საკითხთან დაკავშირებით თავად იშიგუროს პოზიცია ძალიან მარტივია. ერთ-ერთ ინტერვიუში ის აღნიშნავს, რომ მისი მთავარი მიზანი იყო, მოეთხრო დროში შეზღუდული სიყვარულისა და მეგობრობის შესახებ, ადამიანების შესახებ, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ, რომ როგორც მოკვდავდებს, ძალიან ცოტა დრო აქვთ დრჩენილი, მაგრამ მაინც ცხოვრობენ და გამოცდიან სიყვარულსა და მეგობრობას. ამავე ინტერვიუში, იშიგურო ახსენებს, რომ ყოელთვის ცდილობდა მიეგნო ისეთი მეტაფორისთვის, რომელიც ადამიანის შეზღუდულ არსებობას ასახავდა. ასეთი მეტაფორის გადმოცემის საუკეთესო საშუალებად მან სამეცნიერო ფანტასტიკა მიიჩნია. ლიტერატურის ამ ჟანრმა ავტორს შეაძლებინა აღეწერა ისეთი რეალობა, რომელიც მკითხველს აჩვენებს, რომ ამბავი, რომელსაც კითხულობს, სინამდვილეში მისი ამბავია.[2]

რომანი მოგვითხრობს არსებობის, იგივე ეგზისტენციის პრობლემის შესახებ, იმ შეკითხვების შესახებ, რომელთაც საბოლოოდ ვერც კლონები პასუხობენ და ვერც ადამიანები. პასუხების ძიების პროცესი პერსონაჟებისთვის არსებობის არსს წარმოადგენს. ნაწარმოები, თავისი შინაარსითა და იდეოლოგიით თანხვედრაშია ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიასთან. ეგზისტენციალიზმი, (ლათ. Existentia – არსებობა)როგორც არსებობის ფილოსოფია, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა. მის მიმართ ინტერესმა პიკს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია. ორ მსოფლიო ომ გამოვლილ ადამიანებში დღითი დღე მატულობდა უიმედობის, აბსურდულობის, ამაოების განცდა; მას შემდეგ, რაც „ღმერთი მოკვდა,“

[1]პინდარე, „პითიური სიმღერები“, (III, 62-63)
[2]ბოლოს ვიხილეhttps://www.youtube.com/watch?v=_jCB59pPG7k

ადამიანებმა შეწყვიტეს საკუთარ უბედურებაში სხვისი დადანაშაულება, იძულებულნი გახდნენ, რომ სრულად აეღოთ პასუხისმგებლობა და ეგზისტენციალურ თემებზე არსებულ შეკითხვებზე პასუხები საკუთარ თავში ეძებათ.

ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიის თანახმდ, ფილოსოფიური აზროვნების ცენტრში ადამიანი - ეგზისტენტი დგას. ეგზისტენტი წარმოადგენს არა ადამიანთა სიმრვალეს, არამედ ერთ კონკრეტულ ადამიანს, რომელიც მუდმივად ზრდისა და გარდასახვის პროცესშია; ეგზისტენტი არ არის სტატიკური არსება, იგი მუდმივად ცვლადი ინდივიდია, რომელიც გარე სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, სხვადასხვა კრიტიკულ სიტუაციაში გამოიწვრთება და ყალიბდება პიროვნებად. ეგზისტენციური ფილოსოფიის თანახმად, რეალობის ჭვრეტა ხდება პირად, ეგზისტენციალურ გამოცდილებაში, რომლის დასაბამი არის „ძრწოლა“ - ამ ქვეყნიური არსებობის უსაფუძვლობის, აბსურდულობის, ამაოების, სასრულობის გაცნობიერება; განცდა იმისა, რომ დასასრული ყოველთვის სიკვდილია.[3]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეგზისტენციალიზმი სცდება ფილოსოფიის საზღვრებს და ხელოვნების სხვა მიმდინარეობებთან ერთად, ფეხს იკიდებს მხატვრულ ლიტერატურაშიც. ავტორები მიზანმიმართულად, თუ გაუაზრებლედ მიჰყვებიან ეგზისტენციალიზმის ტენდენციებს. ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიით დაინტერესებულია მოდერნისტული, პოსტმოდერნისტული, თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაც; პრობლემის არსი უცვლელია, შეცვლილია გამოხატვის ფორმები.

გარდაუვალი მოცემულობის მიღებისთვის, მარტოობისთვის, აბსურდული არსებობისთვის არიან განწირულნი კაზუო იშიგუროს რომანის „არასოდეს გამიშვა“ პერსონაჟებიც. ეგზისტენციალურ სიღრმეებს თანამედროვე ბრიტანელი ავტორი ანტიუტოპირი ქარგით გადმოგვცემს, თუმცა სხვა დისტოპიური რომანებისგან - ჯორჯ ორუელის „1984“, ოლდოს ჰაქსლის „საოცარი ახალი სამყარო“, რეი ბრედბერის „451 ფარენჰეიტით“, მარგარეტ ეტვუდის „მხევლი წიგნი“ განსხვავებით, მთავარი პერსონაჟები ეგუებიან მოცემულ რეალობას; არ იბრძვიან ცვლილებებისთვის, არ ცდილობენ მოცემულობის შეცვლას. სამ ნაწილად დაყოფილი სიუჟეტი სიმბოლურად ადამიანის ცხოვრების ციკლს ასახავს. პირველი ნაწილი, რომელიც ჰეილშემის პერიოდს მიჰყვება, მოგვითხრობს მთავარი მოქმედი გმირების ქეითის, რუთისა და ტომის ბავშვობის შესახებ. ღობეებით შემოსაზღვრული, მკაცრად კონტროლირებადი გარემო გამოხატავს ადამიანის ცხოვრების ყველაზე მშვიდ, ბედნიერ, ლაღ უსაფრთხო პერიოდს - ბავშვობას, პერიოდს, როდესაც სხვების დახმარებით იწყებ საკუთარი თავისა და გარშემომყოფების შეცნობას. რომანის მეორე ნაწილში მოთხრობილია უკვე თინეიჯერი პერსონაჟების დამოუკიდებლად

[3] გაფრინდაშვილი. თ. ეგზისტენციალისტური ტენდენციები თანამედროვე ბერძნულ მწერლობაში (ა. ფრანგიასი, დ. ხაძისი, ს. პლასკოვიტისი. 2005 (გვ.10)

ცხოვრების საწყისი პერიოდის შესახებ, როდესაც ახალგაზრდები დამოუკიდებლად, მეურვეების გარეშე სწავლობენ ცხოვრებასა და აზროვნებას. რომანის დასკვნით, მესამე ნაწილში კი მოთხრობილია რეაბილიტაციის ცენტრების შესახებ, რომლებშიც დონორები ასრულებენ მათზე დაბადებიდან დაკისრებულ ფუნქციას - გასცემენ საკუთარ ორგანოებს სხვისი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად; ორიგინალების სიცოცხლის სანაცვლოდ თმობენ საკუთარი სიცოცხლეს. მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმ შემოსაზღვრულ სივრცეს, რომელშიც კლონები იზრდებიან, სხვა მხრივ ისინი ჩვეულებრივი ადამიანებივით ცხოვრობენ. უყვართ, უხარიათ, განიცდიან მარტოობასა და სევდას, ისახავენ მიზნებს, ცდილობენ გამოერკვენ საკუთარ რაობაში, აცნობიერებენ საკუთარი არსებობის სასრულობას და ეშინიათ აღსასრულის.

ნაწარმოებში უდიდესი ადგილი ეთმობა სიკვდილის თმატიკას. მიუხედავად იმისა, რომ იშიგურო ცალსახად არსად ახსენებს სიტყვას “death,” სიკვდილითაა გაჟღენთილი კლონების ცხოვრების თითოეული ეპიზოდი. ისინი იბადებიან იმისთვის, რომ მოკვდნენ, თუმცა წინასწარვე შეგუებულნი, არსებულ მოცემულობას სიმშვიდითა და მოთმინებით იღებენ. პარადოქსულია თავად სიტყვა „დონორის“ არსიც. ტრადიციულად, დონორი არის ადამიანი, რომელიც საკუთარი სურვილის თანახმად გასცემს სისხლს ან ორგანოებს სხვა ადამიანისთვის სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით. იშიგუროს რომანის პერსონაჟი დონორები, კი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, იძულებით გაიღებენ დონაციას და, ამგვარად, მონოტონურად მიჰყვებიან გზას აღსასრულისკენ. ირონიულია, რომ სიკვდილი - “death” კლონებთან მიმართბით ჩანაცვლებულია სიტყვით “completion,” რაც დამთავრებასა და დასრულებასთან ერთად სრულყოფილების მიღწევას, წინასწარმეტყველების ახდენას ნიშნავს. [4] მოცემული ტერმინი, ერთის მხრივ, ზუსტად შეესაბამება კლონების არსებობის წინასწარგანსაზღვრულობას, მეორეს მხრივ კი მათი მდგომარეობის აბსრუდულ ხასიათზე მეტყველებს, რადგან „სრულყოფილების მიღწევის“ ეს გზა არ არის კლონების არჩევანი, და სხვის სცენაზე მოთამაშე მარიონეტი ადამიანების მსგავსად, ისინიც მხოლოდ სხვის მიერ დაწერილი სცენარის მსხვერპლად გვევლინებიან. კლონების საკუთარ წინასწარგანსაზღვრულ ბედთან შეგუებულობა მოგვაგონებს ადამიანის მიერ სიკვდილის გაცნობიერებისა და მიმღებლობის პროცესს. მარტინ ჰაიდეგერის თანახმად, გაცნობიერებული მოკვდაობა მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი მდგომარეობაა. მისი განმარტებით “mortals are they who can experience death as death.“[5] საკუთარი მოკვდაობის გაცნობიერება ადამიანებს ერთის ხმრივ პრივილეგირებულს ხდის სხვა ცოცხალ არსებებთან შედარებით, თუმცა, მეორეს მხრივ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამძიმებს და ავსებს მოსალოდნელის შიშით. ანალოგიური გაუცნობიერებელი შიშის მსხვერპლია ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ტომი, რომელიც მთელი ბავშვობის

[4] https://dictionary.ge/ka/word/completion/

[5] Martin Heidegger, On the Way to Language, trans. Peter D. Hertz (New York: Harper & Row, 1982) 107.

განმავლობაში იტანჯება ტანტრუმის შემოტევებით, რის გამოც ხშირად, თანატოლების მხრიდან, დაცინვის ობიექტი ხდება. წლების მატებასთან ერთად ტომის ფეთქებადი ხასიათი მინელდება, თუმცა მადამთან სტუმრობის შემდეგ, გადავადების შესახებ უკანასკნელი იმედის დაკარგვის შედეგად ტომის დათრგუნული ემოციები მთელი სიშმაგით ამოხეთქავს. ტომის ტანტრუმი ქეითისთვის ნათელს ხდის, რომ ბავშვობიდან მოყოლებული, ტომის ემოციური მდგომარეობა მის მიერ დასრულების (completion)შესახებ რაღაც მეტის ცოდნით იყო განპირობებული: „I was thinking,' I said, 'about back then, at Hailsham, when you used to go bonkers like that, and we couldn't understand it. We couldn't understand how you could ever get like that ... I was thinking maybe the reason you used to get like that was because at some level you always knew." (270) ქეითის ვარაუდს მოგვიანებით ტომიც ადასტურებს: "... Maybe I did know, somewhere deep down. Something the rest of you didn't"(270).

ადამიანებთან შედარებით, კლონები გაცილებით მძიმედ იტანჯებიან, თუმცა პრობლემა, რომელსაც ჩვენი და მათი ცხოვრება მოუცავს ურთიერთმსგავსია. ინგლისელი ავტორი და ლიტერატურის კრიტიკოსი ჯონ ჰარისონი აღნიშნავს, რომ იშიგუროს რომანი არის იმის შესახებ, თუ როგორ არ გვაგიჟებს ადამიანის შეზღუდული არსებობის მდგომარეობა. "about why we don't explode, why we don't just wake up one day and go sobbing and crying down the street, kicking everything to pieces out of the raw, infuriating, completely personal sense of our lives never having been what they could have been."[6] ამდენად, რომანი მოგვითხრობს ადამიანური პასიურობასა და შემგუებლობაზე; იმის შესახებ, თუ როგორ არ „ვფეთქდებით" საკუთარი მახეში გაბმული მდგომარეობის გაცნობიერების შემდეგ. ჰარისონის მოსაზრებას, თავად ავტორიც ადასტურებს და აღნიშნავს: „I suppose, ultimately, I wanted to write a book about how people accept that we are mortal and we can't get away from this, and that after a certain point we are all going to die, we won't live forever. There are various ways to rage against that, but in the end we have to accept it and there are different reactions to it. So I wanted the characters in Never Let Me Go to react to this horrible programme they seem to be subjected to in much the same way in which we accept the human condition, accept ageing, and falling to bits, and dying."[7]

როგორც იშიგურო აღნიშნავს, ამ მოცემულობის წინააღმდეგ ამბოხის რამდენიმე გზა არსებობს, თუმცა ძირითადად, ამ გზებს ადამიანები არ მიმართავენ. ანალოგიურად, კლონებსაც აქვთ არჩევანი დონორობის პროგრამის წესებით ცხოვრებასა და ამბოხს შორის, თუმცა არც ისინი ირჩევენ ამბოხის გზას. მაგალითად, ჯერ კიდევ ჰეილშემში ყოფნისას გავრცელებული მითქმა-მოთქმის თანამხად, ღობე, რომლითაც სკოლის სივრცე იყო გარშემორტყმული ელექტროობას ატარებდა და

[6]Micheal John Harrison, 'Clone Alone,' The Guardian 26 February 2005, 17 May 2016 http://www.theguardian.com/books/2005/feb/26/bookerprize2005.bookerprize

[7] Matthews Sean. Kazuo Ishiguro: Contemporary Critical Perspectives (124)

ერთ-ერთი მოსწავლე ემსხვერპლა კიდეც მას, თუმცა არცერთ მოსწავლეს თავში აზრად არ მოსვლია ამბოხის ამ უკიდურეს ფორმაზე - თვითმკვლელობაზე ფიქრი. ისინი, ადამიანების მსგავსად, ტკბებიან სიამოვნების იმ პატარ-პატარა ულუფებით, რომელთაც ყოველდღიურობა ანიჭებთ. მაგალითად, კოტეჯებში ცხოვრების პერიოდში ისინი იმითაც კმაყოფილები არიან, რომ მანქანით შეუძლიათ დაბიდან გასვლა, ქალაქში ან ტყეში გასეირნება, წიგნების კითხვა, მუსიკის მოსმენა, სიყვარულით ტკბობა. მოგვიანებით, დონორად მუშაობისას ქეითი აღნიშნავს: „... ის კი მომწონს, ჩემ პატარა მანქანაში რომ ვჯდები და ვიცი: მომდევნო საათებში თანამგზავრად მხოლოდ გზები, დიდი ნაცრისფერი ცა და ჩემივე ოცნებები მეყოლება. და თუ რამდენიმე საათი ქალაქში უნდა გავიყვანო, სეირნობით და მაღაზიის ვიტრინებში ცქერით ვერთობი...“ (იშიგურო.2017:222) სხვა ანტიუტიპიური რომანებისგან განსხვავებით, იშიგუროსთან არ ვხვდებით კლონთა საერთო ამბოხს; ისინი არ ცდილობენ საკუთარი თავის დამკვიდრებას დაპირისპირებულ ძალასთან ბრძოლის ნიადაგზე; არ სვამენ გლობალურ, ყოვლისმომცველ შეკითხვებს და არ ეძებენ მათზე სიღრმისეულ პასუხებს; მათ მიერ დასმული შეკითხვები, პირადული ხასიათისაა. ადამიანების მსგავსად, კლონებსაც გაცნობიერებული აქვთ საკუთრი ცხოვრების სასრულობა და მშვიდად ელიან აღსასრულს. ნაწარმოების ერთ-ერთ ეპიზოდში, რუთი, ერთი შეხედვით ყველაზე მეამბოხე, მოუდრეკელი პერსონაჟი საკუთარი მოახლოებული აღსრულების შესახებ აღნიშნავს: “I was pretty much ready when I became a donor. It felt right. After all, it’s what we’re supposed to be doing, isn’t it?” (Ishiguro, 2006, p. 223) პერსონაჟები ხვდებიან, რომ ბრძოლა ფუჭია, მათი ყოფა კი აბსურდული და ამდენად სრული სიმშვიდით ეგუებიან მოცემულობას. ერთადერთი, რისთვისაც ისინი იბრძვიან არის, არა თავის დაღწევა, არამედ გადავადება, დამატებით რამდენიმე წელი, რაც პერსონაჟებს განუხორციელებელი ნაბიჯების სისრულეში მოყვანაში დაეხმარებათ. ასეთი იმედის ნაპერწკალია მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ ერთმანეთზე ჭეშმარიტად შეყვარებული კლონები, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანებს საკუთარი გრძნობების სიწმინდეში დაარწმუნებენ, სიცოცხლის დამატებით რამდენიმე წელს მიიღებენ. გადავადების იმედი ამოძრავებთ ქეითსა და ტომს, როდესაც, საკუთარი ნახატებით დახუნძლულნი, მადამთან სტუმრობას და იმის მტკიცებას გაბედავენ, რომ ჭეშმარიტად შეყვარებულები არიან, თუმცა მათ უკანასკნელ იმედს მის ემილის სიტყვები ანადგურებს: „...სანამ მყარად ვიდექი, არც ერთ თქვენგანს ეჭვები არ აწუხებდა. შენ კი სვამდი შენს კითხვებს, ბიჭუნავ. მოდი, მათ შორის ყველაზე მარტივს ვუპასუხოთ და იქნებ ყველა დანარჩენსაც მოერგოს პასუხად. რატომ მოგვქონდა თქვენი ნამუშევარი? წუთის წინ საინტერესო რაღაც თქვი ტომი... შენ თქვი, ხელოვნება შინაგან სამყაროს ააშკარავებსო. ასე თქვი არა? ჰოდა, დიდად არ შემცდარხარ. იმიტომ მიგვქონდა თქვენი ნამუშევრები, რომ ჩვენი აზრით, თქვენს შინაგან სამყაროს ააშკარავებდა. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, მიგვქონდა იმის დასამტკიცებლად, რომ, როგორც ასეთი, საერთოდ გაგაჩნდათ სული.“ (იშიგურო. 2017: 279)

იშიგუროს პერსონაჟების მსოფლმხედველობა, მათი შემგუებლური ბუნება , მახისებრი რეალობის მიმღებლობა და ამ მოცემულობით გამოწვეული სევდა მოგვაგონებს ალბერ კამიუს აბსურდის ფილოსოფიის პრინციპებს. კამიუსთვის აბსურდის არსი „ადამიანის არსებით მისწრაფებებსა და მის რეალურ შესაძლებლობებს შორის წინააღმდეგობასა და შეუსაბამობაში მდგომარეობს. სხვაგვარად, აბსურდი ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართებაში გამოიხატება, რადგანაც სამყარო ეწინააღმდეგება და უარს ეუბნება ადამიანის არსებით განზრახვებს, მიზნებსა და სურვილებს, ამიტომ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს უკვდავების იმედი. აქედან წარმოდგება აბსურდის ფუნდამენტური ფენომენი.“[8] კლონების მისწრაფებები და მათი განხორციელების შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი. მათი მცდელობა, იპოვნონ საკუთარი თავის ორიგინალები და გარკვეულწილად მაინც შეიმეცნონ საკუთარი არსი ამაოა. რუთს გაუცნობიერებელი შიში აფერხებს და ბოლო წამს ამბობს უარს გადამწყვეტ შეხვედრაზე; ქეითი, რომელიც ვერაფრით ხსნის მასში მოზღვავებულ სექსუალურ ენერგიას, ამაოდ თვლის, რომ საკუთარ ორიგინალს შესაძლოა პორნო ჟურნალში გადააწყდეს, ტომს კი მუდმივად უჩნდება შეკითხვები საკუთარი ფეთქებადი ხასიათისა და ბავშვობაში მიძინებული შემოქმედებითი უნარების შესახებ. არაცნობიერ მისწრაფებებსა და მათი განხორციელების ამაოებაზე მეტყველებს ეპიზოდი, რომელშიც ჯერ კიდევ პატარა გოგონა, ქეითი თავის ერთადერთ კასეტას უსმენს და მთელი გრძნობით ცეკვავს სიმღერაზე “არასოდეს გამიშვა.“ მადამთან საუბარში ქეითი აღნიშნავს: „სინამდვილეში რაზეც უნდა ყოფილიყო სიმღერა, მე ჩემეულ ვერსიაზე ვცეკვავდი. მეგონა, ქალზე იყო, რომელსაც უთხრეს, ბავშვი არ გეყოლებაო. მერე კი, მაინც რომ ეყოლა და ძალიან გაუხარდა, მკერდზე მიიკრა და იმის შიშით, არაფერმა დაგვაშოროსო, ამბობდა: არასოდეს გაგიშვებ ჩემო პატარავ.“ სიმღერა სულაც არ არის ამ შინაარსის, მაგრამ იმხანად თავში ეს მქონდა.“ (იშიგურო. 2017: 292) მოცემული ეპიზოდი თვალნათლივ მეტყველებს ქეითის შინაგან სურვილებსა და მისწრაფებებზე, რომ თავადაც იყოს ვინმეს შვილი და დედა. ქეითის ამგვარი ბუნებრივი მიდრეკილებები კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ კლონები არაფრით ჩამოუვარდებიან ადამიანებს, ისინიც ისევე განიცდიან, იტანჯებიან, ოცნებობენ, როგორც მათი შესაძლო ორიგინალები.

იშიგუროს რომანი ჰუმანურ, ეთიკურ-მორალურ, ეგზისტენციალურ საკითხებს აერთიანებს. პრობლემები, რომელთაც ნაწარმოებში ვხვდებით არა უტოპიური, არამედ ძალიან ახლობელი, რეალური, ხელშესახებია. მთავარი პერსონაჟების ღრმა მისწრაფება „არასოდეს გაუშვან“ ჩანასახშივე აუსრულებლობისთვისაა განწირული, თუმცა ადამიანური ემოციებით, სიხარულით, სიყვარულით, მელანქოლიითა და სევდითაა სავსე ის სამ ათწლეულიანი ეპიზოდი, რომელთაც ისინი “დასრულებამდე“ გადიან.

---

[8] წიკლაური ხ. „აბსურდის ციკლი“ ალბერ კამიუს შემოქმედებაში. თბილისი 2006 (გვ.42)

გამოყენებული ლიტერატურა:

იშიგურო. კ. (2017) არასოდეს გამიშვა. მანანა ღოღობერიძის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L

ლუ ვ. (2020). Lu, W. Sci-Fi Realism and the Allegory of Dystopia: With Kazuo Ishiguro's *Never Let Me Go* as an Example. *Comparative Literature Studies*, *57*(4), 702–714. https://doi.org/10.5325/complitstudies.57.4.0702

მაკდონალდ კ. (2007). MCDONALD, K. DAYS OF PAST FUTURES: KAZUO ISHIGURO'S "NEVER LET ME GO" AS "SPECULATIVE MEMOIR." *Biography*, *30*(1), 74–83. http://www.jstor.org/stable/23540599

სემალკ მ. (2018) Semelak, M. The suffering of existence in Kazuo Ishiguro's Never Let Me GoDOI:10.1515/aa-2018-0008

ქაროლ რ. (2012). Carroll, R. Imitations of life: cloning, heterosexuality and the human in Kazuo Ishiguro's Never Let Me Go. In *Rereading Heterosexuality: Feminism, Queer Theory and Contemporary Fiction* (pp. 131–148). Edinburgh University Press. http://www.jstor.org/stable/10.3366/j.ctt3fgtnm.10